



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000096894024818

№ ს-256

08 / თებერვალი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის # ს-757 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის # ს-757 ბრძანებაში, კერძოდ:

1.1 აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტის „გ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : „გ.ზ“. კომისიის მდივანი -მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ცირა ფხოველიშვილი. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას (მდივანი არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.)

1.2. აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გ.ე“. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ხუხუნიანიშვილი.”

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე